ლაპარაკის დავალება

I დავალება.

პირველი შეკითხვა.

რით ხართ დაკავებული თავისუფალ დროს?

მეორე შეკითხვა.

თქვენი აზრით, რა ახდენს უფრო დიდ გავლენას ბავშვის სწავლა-განათლებაზე: სკოლა თუ ოჯახი და რატომ?

<u>დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება</u>!

II დავალება.

ზოგი ფიქრობს, რომ ბავშვის წარმატებას სწავლაში დიდად განაპირობებს მოსწავლე-მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა.

ისაუბრეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

<u>პასუხი დაასაბუთეთ</u>!

III დავალება.

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ქართული ენის კათედრის გამგე. სკოლას სჭირდება ახალი მასწავლებელი. დირექტორმა გთხოვათ, გაესაუბროთ კანდიდატებს და რეკომენდაცია გაუწიოთ ერთ-ერთ მათგანს.

რა კრიტერიუმებით შეარჩევდით პედაგოგს?

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!